



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/9797
05/09/2017

9797-2-08-2-201709051746



სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ (შემდგომში - გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის განსაზღვრული შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურიდან სოფელ ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძე 6კმ) და მდინარე ჩოლოქზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბატონ ზურაბ ალაგვიძის რეზოლუციით, დაგვეწერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის N7225 05.09.2017წ. წერილი, რომელიც ეხება გურიისა და აჭარის რეგიონების დამაკავშირებელი უმოკლესი მონაკვეთის - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლაითურიდან სოფ. ცეცხლაურის მიმართულებით საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

წერილში აღნიშნულია, რომ გურიისა და აჭარის რეგიონების დამაკავშირებელი ზემოაღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთი ძლიერ დაზიანებულია და ამორტიზირებულია, რის გამოც გართულებულია ავტოტრანსპორტის გავლადობა და მოსახლეობას ექმნება დისკომფორტი. ასევე, გამოყოფა სასაზღვრო ზოლში მდინარე ჩოლოქზე არსებული საავტომობილო ხიდი 2004 წლის ცნობილი მოვლენების დროს იქნა დაზიანებული და მისი დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, საჭიროა მისი აღდგენა. ზემოაღნიშნული იწვევს, სოფ. ლაითურიდან სოფ. ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძით 6კმ) და მდ. ჩოლოქზე ხიდის რეაბილიტაციის აუცილებლობას. აღნიშნული ხიდის გვერდზე მოწყობილია დროებითი ლითონის სახიდე გადასასვლელი, რომელიც ხანდაზმულობის გამო კოროზირებულია და ბურჯებიც დაზიანებულია. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გზის და ხიდის ფუნქციონირება მნიშვნელოვანია არამარტო ოზურგეთის და ქობულეთის მოსახლეობისათვის, არამედ

მთლიანად ორივე რეგიონისთვის, ვინაიდან ბოლო წლებში გავრდილი ტურისტული ნაკადის ფონზე, კიდევ უფრო იმატებს დამსვენებელთა და ტურისტთა რაოდენობა, რაც მოსახლეობის დასაქმების, ინფრასტრუქტურის განვითარების და რეგიონის ეკონომიკური სიძლიერის წინაპირობაა. ზემოაღნიშნული სამუშაოს განხორციელება უმოკლეს ვადებში, ზამთრის დადგომამდე მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ზამთრის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გართულდება მოსახლეობისა და ავტოტრანსპორტის გადაადგილება. ასევე დროებითი ხიდის ხანდაზმულობამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და შეფერხდეს ავტოტრანსპორტის გადაადგილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გზის დაზიანების ხარისხი ყოველდღიურად მატულობს, ვინაიდან მაღალია ავტოტრანსპორტის ინტენსივობა და ზამთრის ნალექების შედეგად, მდგომარეობა მეტად გართულდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული გზის დროული მოწესრიგება მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის, მაგრამ მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება გამგეობის სახსრებით ვერ ხერხდება. ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს დახმარებას, რათა აღნიშნული გზის რეაბილიტაცია დაიწყოს შემჭიდროვებულ ვადებში და დამთავრდეს მიმდინარე წელს, ზამთრის სეზონის დადგომამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა, საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და ამის შემდგომ, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის სატენდერო პროცედურები მოითხოვს დროის საკმაოდ დიდ პერიოდს (სავარაუდოდ 4-5 თვე), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, სასწრაფოდ დაიწყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურიდან სოფელ ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძე 6კმ) და მდინარე ჩოლოქზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, რათა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურიდან სოფელ ცეცხლაურის მიმართულებით მიმავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის (სავარაუდო სიგრძე 6კმ) და მდინარე ჩოლოქზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

პატივისცემით,

გიორგი სეთურიძე



დეპარტამენტის თავმჯდომარე